ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2389 ქვირა, 25 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2389

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული, კნიაჟნა ქეთევან ივანეს ასული რუსიშვილები და კნეინა ნინო ივანეს ასული ერისთვიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მულის და უკანასკნელნი—მამიდის

კნიაჟნა მარიამ რომანის ასულის რუსიშვილისას,

რომელიც გარდაიცვალა ქ. თელავში 23 იანვარს. გამოასვენებენ სამშაბათს, 27 იანვარს, წირვა პანაშვიდის შემდეგ ღვთაების ეკლესიაში და დაკრძალვენ იქვე. (3—6.—1)

მღვდელნი სიმონ და ავქსენტი სახოკიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 31 იანვარს, ს. ნააში (სოხუმის ოლქში) ღვთისმშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მაზლის და მეორის ძვირფასის მეუღლის

ნინა (მინა) ლავრენტის ასულის სახოკიას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

წარმ. 44.

ქართული თეატრი

კვირას, 25 იანვარს 1904 წ. ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება
ქ-ნ ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ პირველად ახალი პიესა

I

განთიადი

სცენები 5 მოქმედებად თ. აკაკისა.

II

ადვოკატთან

ვოდ. 1 მოქმ. თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, შალიკაშვილი, დამიძე, ანანიაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა ჰისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
კვირას, 25 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

ვინძორის ნათლიდედები

ოპერა 3 მოქ. მუს. ნიკოლაისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, კარტავინა, სელიუკ, ლელინა, ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, რჟანოვი, ფედოროვი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 26 იანვ. წარმ. არ იქმნება; 27 იანვ. სანგურსკის ბენეფ. „რუსალკა“, „რობერტ-დიავოლ“ და „სევილელი დალაქი“ (1 და 1 მოქმ.)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46.
წლ.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ატნაპარმაკლიძისა. (0—6.—38)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ვრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სახებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ვ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ს ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ: „19 იანვარი. წარსულ კვირას იაპონიამ სათადარიგო მეზღვაურთა რაზმი დაამზადა საომრად. ამას გარდა სათადარიგო ქვევითა ჯარის-კაცებიც დაამზადეს, გენერალ კუმამატოს დივიზია 40 სატრანსპორტო გემში ჩასხეს. ეს გემები ტაკეშიკის ნავთსადგურში დგანან და კორეიაში წასვლას აპირებენ. ყველაფრიდან ცხადად სჩანს, რომ იაპონია მედგარ იერიშის მიტანას აპირებს კორეიაზე. იაპონიის ესკადრა სასებოდან ზღვაში გავიდა რუსეთის ფლოტის დასახვედრად. იაპონიის მთავრობამ თავის სამხედრო წარმომადგენელს სეულში გენერალ-მაიორ იშიშის დიდი საიდუმლო საქმე დაავალა.“

იმავ გაზეთს სწერენ სიმონოსეკიდან (იაპონიიდან): იაპონიის მთავრობამ უფრო გააძლიერა სამხედრო მზადებაო.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: რუსეთს ან 17 ან 18 იანვარს უნდა ჩაებარებინა პასუხი იაპონიისათვისაო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტს არა სჯერა ეს ცნობა, რუსეთი მაგრე მალე ვერ შეადგენდა პასუხსაო.

ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: „რუსეთ-იაპონიის დავა ეხლა-კი მალე დასრულდება“-ო.

ინგლისი და იაპონია

იქით კვირია ოთხშაბათს ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ეკერ დუგლასმა სვანსიში ამომრჩეველთა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე სთქვა: „ინგლისის მთავ-

---

ფელეტონი

მოღალატენი

ანუ ქართველი მსახიობნი

ტრაგიკული ფარსი

მომქმედნი პირნი:

სულეიმან-ხან მესხიშვილი, ცრუ მთავარ-მართებელი.
ზეინაბ მესხი, პირველი მოღალატე.
რუქაია კარგარეთელი, კარგად მორთული ქალი.
ოთარ-ბეგ გუნია, ადამიანი, რომელსაც უნდა გმირობა, მაგრამ რომელიც შეიქმნება მოღალატე.
ანანია ყიფიანი.
ირაკლი შათირიშვილი
დათო სვიმონიძე } საპატიო დარაჯები.
ბესო მესხი, მოღალატეების თავი.
აფეთქება.
ა. სუმბათაშვილი.
სულეიმანის მხლებელნი, მაყურებლები.

სცენა პირველი. სულეიმანის სასახლე.

სულეიმან-ხან. (გადახედავს თავის მხლებლებს, ლაზათიანად დაამთქნარებს, ჩუმად ამბობს) ოოხ, ალლაჰ, ალლაჰ! რა მოწყენილობაა! (ცოტა სიჩუმის შემდეგ) მაინც მეს უნდა შეუდგეთ, ყმაწვილებო! მოვალეობა, სამსახური! ამდენი საზოგადოება შეკრებილა ჩვენს სანახავად. ჩვენს ქოხში რომ ვგდებულიყავით, შეგვეძლო ჩვენებურად მოსვენებულნი ვყოფილიყავით, მაგრამ ამ სასახლეში სირცხვილია, რომ ცოტა ხელი არ გავანძრიოთ... ჰო, ოთარ-ბეგ გუნია! დავიწყოთ; შენ დიდი თანამდებობა მო- [illegible]უმრობა საქმე არ არის, გმირის როლს თამაშობ, მაგრამ ეჭვი მაქვს: შენს გულში ღალატს ვხედავ!

ოთარ-ბეგ. (ცალის თვალით სუფლიორს გადახედავს) რა საკადრისია, თქვენო... (უცებ მოაგონდება, რომ მხედარ-გენერალი როლს არ თამაშობს)... დიახ! დიახ, მაჰმადის მთვარევ! ვფიცავარ შენს მზეს, რომ ფიქრადაც არ გამიტარებია თავში ღალატი, ამ ჩემს გულში (გულზე ხელს დაირტყამს), ამ ჩემს მკლავებში (ხელებს გაშლის) ძლიერი სისხლი ფეთქს თქვენის სამსახურისთვის. დიახ! ღმერთს გეფიცები, სულეიმან ხან, დამიჯერეთ. დიახ! მე ტყუილის თქმა არ მიყვარს. ჩემს ხარისხს (ულვაშებზე ხელს გადაისვამს) არ შეჰფერის, რომ გმირი არ ვიყო. 30 ეკკლესია დავწვი, 60 მღვდელი ჩამოვახრჩე, ასი მონასტერი დავანგრიე. დიახ, ციფრები კარგად არ მახსოვს, მაგრამ საქმე ხომ ციფრები არაა. ქართველებმა თვლა არასოდეს არ ვიცოდით....

სულეიმან-ხან. არა, ოთარ-ბეგ! მართლა კი არ მეშინია შენი, ქართველი აქტიორი არა ხარ?! მაგრამ წესიერება მოითხოვს, მეტი ერთგულება გამოიჩინო ხოლმე. მეტს პატივს უნდა ვცემდეთ ჩვენს ბატონს შაჰინშაჰს. მართალია, იგი სცენაზე არ გამოდის და ამის გამო ვერც ვერაფერს გვავნებს, მხოლოდ. კიდევ მაინც წესიერების გულისთვის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ პიესის გულისათვის, საჩუქრები უნდა გავუგზავნოთ ბატონს.

ოთარ-ბეგ. ჩინებული აზრია. მიმსახურეთ, თქვენო... დიახ!..

ზეინაბ (დიდი შლეიფი აქვს, რომელიც ძალიან მოსწონს. ნელა დადის, ლაპარაკი ეზარება). სტყუი, ბ. გუნია ოთარ-ბეგო! სულეიმან, შენ გენაცვალოს შენი ზეინაბი, არაფერი დაუჯერო მას. ეგ რომ კარგი კაცი ყოფილიყო, ჩემი ძმის სიტყვას გაიგონებდა. (მიუახლოვდება სულეიმანს), ცოტა იქით გაიწი, დავიღალე, დაჯდომა მინდა (ამოუჯდება გვერდში). რა მაგის საქმეა, ქართლის მმართველის ადგილი რომ ჩაგიბარებია. მაგის შესაფერი პატარა როლია, აი, ეგ რომ სინიდისიერად ასრულებდეს თავის თანამდებობას, დიდი ხანია, თავის გაიანეს აქ მოიყვანდა, რომელიც ამ მოწყენილობის დროს ძალიან გაგართობდა. შენც გაგამხიარულებდა და მეც შემიმსუბუქებდა შრომას, ამდენი სალაპარაკო არ მექნებოდა (ოთარ-ბეგი ამაყურად გადასწევს უკან თავს).

სულეიმან-ხან. ოთარ-ბეგ! გესმის? ნუ თუ ეს ყველაფერი მართალია?

ოთარ-ბეგ. დიახ! არა, მბრძანებელო! ქალი მყავს და მას თქვენთვის ვზრდიდი, ამაზე ბევრი ლაპარაკი არა ღირს. ხვალვე აქ მოგართმევთ ჩემს გაიანეს (უნდა კიდევ რაღაცა სთქვას, მაგრამ სუფლიორის ხმა არ ესმის)...

სულეიმან-ხან. კეთილი, კეთილი! თუ აგრეა, მეც მეტი არა მინდა რა. ეხლა კი ცოტა ხნით გარეთ გავიდეთ. დავისვენოთ, მანამდის სხვებმა ილაპარაკონ. (ყველანი მიდიან. ზეინაბს რაღაც მოაგონდება და ოთარ-ბეგს გააჩერებს).

ზეინაბ. ოჰ! დასწყევლოს ღმერთმა სუმბათაშვილი! აქ მე პატრიოტული სიტყვები უნდა გელაპარაკო. აბა, დაიწყე!

ოთარ-ბეგ. „ჩვენა ვართ მონანი ალლაჰსი და ჩრდილნი მისნი!“

ზეინაბ. „აი, პასუხი ნამდვილი თავისუფალი ქართველისა!“

ოთარ-ბეგ. „ნუღარ მცდი, ნუღარ მტანჯავ! დიახ! თუ შენის მოკლულის შვილის ხსოვნა ძვირფასად გიღირს...“

ზეინაბ. „რისთვის ჩემი შვილი სამარეში უნდა იწვეს და შენ კი სამშობლო ჰაერს სუნთქავდე? ჩემი შვილი მე მალე დავივიწყე, შენც მალე დაივიწყებ... შენს შვილს ხასად მივართმევთ მეფეს, ჩემი შვილი სამარეშია...“ კმარა! (შემოდის სულეიმან-ხანი)

სულეიმან-ხან. ყველგან მოწყენილობაა, უსიცოცხლობა!..

ზეინაბ. რად მოგიწყენია, ჩემო თვალის სინათლევ! ეხლავ გაგართობ, ეხლავ აქ მოგგვრი რუქაია კარგარეთელს. საუცხოვოდ მორთულია, სულ ახალ-ახალი ძვირფასი ტანისამოსი შეუკერეთ. (შემოდის რუქაია. ძალათ იცინის, რომ თავი მოაწონოს სულეიმან-ხანს. დაჯდება მის წინ და ზღაპარს მოუყვება. უცბად ფარდა ჩამოეშვება, სწორედ იმ დროს, როდესაც სულეიმანს რაღაც უნდა თქვას).

სცენა მეორე. ოთარ-ბეგის ბალი გორში.

ოთარ-ბეგ. ბესო, რა გითხრა, იცი? საქმე ცუდათ მიდის, მგონი. ტაში არავინ არ და-

რობა წინანდებურად ცდილობს, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მორიგებით გადასწყდეს. თუ მთავრობის მეცადინეობა არ გასჭრის და საქმე სხვანაირად წავა, ინგლისის მთავრობა იაპონიასთან დადებულ საკავშირო ხელ-შეკრულობას არ უღალატებს და ყველა თავის მოვალეობას უკლებლივ შეასრულებსო“.

ბოლგარია და ოსმალეთი

ბოლგარიის ეხლანდელმა მთავრობამ წარსულ ზაფხულს ოსმალეთთან დაახლოვება მოინდომა. სტამბულოვის პოლიტიკის მიმდევარი მინისტრები და იმათი ელჩი ნაჩევიჩი ურჩევდნენ ოსმალეთის მთავრობას, სჯობია ბოლგარიას მოურიგდეთ, დაუახლოვდეთ და მაკედონიის საქმე მშვიდობიანად, ერთმანეთის თანხმობით გადასწყვიტოთ; ბოლგარიასა და ოსმალეთს საერთო მტრები ჰყავთ, ამიტომ ჩვენი გადაკიდება მარტო ამ მტრებს გაახარებსო. მაგრამ ხონთქრის მთავრობას თითქმის ვერა შეასმინეს-რა. ბოლოს ხომ საქმე ისე წავიდა, რომ ბოლგარია და ოსმალეთი დაახლოვების მაგივრად ერთმანეთთან საომრად ემზადებიან. ამის თაობაზე სტამბულოვისტების გაზ. „ნოვ ვეკ“-ი სწერს:

„ოსმალეთის მთავრობა ბოლოს დროს მეტად უცნაურ პოლიტიკას დაადგა. ბოლგარიაში ბევრს წრფელის გულით ეწადა ოსმალეთთან დაახლოვება, მაგრამ ეხლა ხონთქრის მთავრობამ ყველას გული გაუტეხა და იმედი გაუცრუვა. ეხლა სტამბოლში მეტად მტრულის თვალით დაუწყეს ყურება ჩვენ სამთავროს და ჩვენთან შეთანხმება ხომ გასაგონადაც ეჯავრებათ. თითქო განგებამ გონება დაუბნელა ფადიშაჰის მოხელეებსაო: მართლაც ოსმალეთის მთავრობა ისე დაბრმავდა, რომ ველარა ჰხედავს, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვება ბოლგარიისა და ოსმალეთის გადაკიდებას. ხონთქარი ისე იქცევა, რომ მალე ბოსფორში ჩვენი საერთო დაუძინებელი მტრები გაბატონდებიან. ჩვენი გადაკიდება მარტო ამ მტრებს მოუტანს სარგებლობას, დღემდე ჩვენ კიდევ იმედი გვქონდა, რომ ოსმალეთის უმაღლესი წრეები ცოტაოდენ პოლიტიკურ შეგნებას გამოიჩენდნენ და მიჰხვდებოდნენ, რომ ოსმალეთს მხოლოდ ბოლგარიასთან დაახლოვება იხსნის დალუპვისაგან. მაგრამ ეხლა აშკარად დავინახეთ, რომ წარსულის მაგალითებმა ოსმალები ჭკუაზე ვერ მოიყვანეს, თვალი ვერ აუხილეს. დაახლოვების ნაცვლად, ოსმალეთი სულ იმის ცდაშია, რომ ბოლგარია ააღელოს და საომრად გამოიწვიოს. ოსმალეთის მოხელეები ბოლგარ ვაჭრებს ათას დაბრკოლებას უჩენენ, ყოველნაირად აწვალებენ; ოსმალეთის კომისარები ოსმალეთში მიმავალ ბოლგარებს პასპორტებს არ უმოწმებენ და სხვ. თუ ოსმალეთი ამნაირ პოლიტიკასა და ბოლგარიის მტრობაზე ხელს არ აიღებს, შეიძლება ბოლგარიამაც შესცვალოს თავისი პოლიტიკა, იქნება ოსმალეთთან ომსაც არ მოერიდოს“.

მაკედონიის რეფორმები

როგორც ვიცით, მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორს ხილმი-ფაშას საშველად დიდმა სახელმწიფოებმა სამოქალაქო აგენტები დაუნიშნეს. ეს აგენტები კიდევაც მოვიდნენ მაკედონიაში და თავიანთ მოვალეობის ასრულებას შეუდგნენ. დიდ სახელმწიფოების კონსულებმა სამოქალაქო აგენტებთან იჩივლეს, ოსმალეთის მოხელეები ათის თავის (გადასახადია) მოკრებისა და შეწირულ ფულის დარიგების დროს დიდ უწესოებას სჩადიან, მრავალ უდანაშაულო ხალხს ტყუილ-უბრალოდ ციხეებში აგდებენო, სასამართლოებიც მეტად ცუდად, მიდგომით არჩევენ საქმეებსაო. სამოქალაქო აგენტებმა კონსულების საჩივარი მაშინვე ხილმი-ფაშას შეატყობინეს.

ოსმალეთის მთავრობამ სთხოვა დიდ სახელმწიფოებს, მაკედონიაში ნამეტან ბევრ უცხოელ აფიცრებს ნუ გაჰგზავნით იქაურ ჟანდარმერიის მოსაწყობადაო. ამბობენ, სახელმწიფოები არად ჩააგდებენ ოსმალეთის თხოვნასაო, რადგან ჟანდარმერიის ორგანიზაციის პროექტი კიდევაც შეადგინეს და მალე ყველა სახელმწიფოების რწმუნებულებს გადაეცემა განსახილველადაო.

ზანგების აჯანყება გერმანიის კოლონიაში

ზანგების აჯანყება თან და თან ძლიერდება. გერმანელ ობერ-ლეიტენანტ ციულოვისაგან ბერლინში შემდეგი დეპეშა მიიღეს: „20 იანვარი. 15 იანვარს აქეთ ოკაგანდაში ვდგევარ, 200 კაცი მყავს. ცოტა ხანს კიდევ გავძლებ. კანონირ გემ „ჰაბიხტისაგან“ ზარბაზნებს მოველი. გთხოვთ, არტილერისტები გამომიგზავნოთ. ვინდგუკიდან პატარა რაზმი მოდიოდა ჩვენ საშველად, მაგრამ ზანგებმა უკუაქციეს დიდის ზარალით. ვინდგუკთან მისვლა-მოსვლა სრულებით შესწყდა.

„21 იანვარი. გუშინ რკინის გზაზე მიმოსვლის აღსადგენად 70 კაცი გავგზავნე; ამ რაზმს გზაში ზანგებთან შეტაკება მოუვიდა. ჩვენ 4 კაცი მოგვიკლეს, ზანგებს 20—25. აჯანყებულმა ხალხმა კარიბიბის გზაზე ხიდი დაანგრია, ამიტომ წერილი ველარ გამომიგზავნია. ვეცდები, წერილი ერთგულ ზანგების ხელით მოგაწოდოთ“.

კანონირ გემის „ჰაბიხტის“ უფროსი იუწყება: ლეიტენანტი ციულოვი მატყობინებს, ოკაგანდის ახლო გერერებს კაფრებიც შეუერთდნენო.

პოლონელების დევნა პრუსიაში

პოლონური გაზ. „კურიერ პოზნანსკი“ იუწყება: პრუსიის მთავრობამ ახალი ღონისძიება მიიღო პოლონელების წინააღმდეგო. პრუსიის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა და ყველა პრუსიელ მოხელეს, ეროვნების განურჩევლად, პოლონელების ბანკებში ფულის შეტანა აუკრძალა. ვისაც ამ ბანკებში ფული აქვს შეტანილი, ახალ განკარგულების ძალით, დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს.

„კურ. პოზნ.“-ი ურჩევს პოლონელებს, ამას იქით ფული მხოლოდ პოლონურ ბანკებსა და კასებში შეიტანეთო. ამას გარდა პოლონელმა დეპუტატებმაც გერმანიის პარლამენტსა და სეიმშიც მთავრობას პროტესტი უნდა გამოუცხადონ და დაამტკიცონ, რომ ეს განკარგულება სახელმწიფო კანონებს არღვევსო.

განხეთქილება ინგლისელ უნიონსტების პარტიაში

ჩემბერლენის სატამოჟნო აგიტაციამ, როგორც ვიცით, ინგლისელ უნიონისტების პარტიაში დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. ზოგი ჩემბერლენს მიემხრო, ზოგი თავისუფალ ვაჭრობის მომხრე დევონშირის ჰერცოგს. ამას წინად ჰერცოგმა, როგორც პარტიის თავმჯდომარემ, მისწერა ჩემბერლენს: რაკი სატამოჟნო საქმეებზე ასეთი უთანხმოება მოგვდის, ჩვენი პარტია ან უნდა სულ დაიშალოს, ან ორად გაიყოს, ან არა და პარტიის პროგრამა მაინც გამოიცვალოსო. ხმაც კი გავარდა, ჰერცოგი თავის მიმდევრებით ლორდ როზბერის მიუდგება და ახალ პარტიას შეადგენსო. ამბობდნენ, გავლენიანი უნიონისტი დეპუტატები გორსტი, ჩერჩილი, გიუგ სესილიც ამ პარტიას მიემხრობიანო. მაგრამ ეხლა „მანჩესტერ გარდიან“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, დევონშირის ჰერცოგი ლორდ როზბერის კი არა და ისევ უფრო პირველ მინისტრს ბალფურს დაუახლოვდებაო. ბოლოს დროს თავისუფალ ვაჭრობის მომხრეებმა რამდენსამე არჩევანში გაიმარჯვეს. ლიბერალების გამარჯვებამ ძლიერ დააფიქრა ბალფური. პირველი მინისტრი იქნება ამ არჩევნების შემდეგ სულ სხვა ტაქტიკას დაადგეს. პარლამენტში მალე სატამოჟნო საქმეებზე კამათი გაიმართება და მაშინ ცხადად გამოჩნდება, ვის მხარეს დაიჭერს ბალფური, ჩემბერლენისას, თუ დევონშირის ჰერცოგისას.

ახალი ამბავი

✦ ჭიათურის **შავის ქვის მრეწველთა** კრება, რომელიც ამ იანვარში უნდა მომხდარიყო, გადაიდო თებერვლის ბოლო რიცხვებისთვის. კრებამდე, თებერვლის პირველ რიცხვებში, მარგანეცის საქმეების გამო მოხდება საგანგებო ბჭობა კავკასიის სამთამადნო გამგეობაში, რომელსაც შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს წარმომადგენელიც დაესწრება.

✦ **ერევნიდან დეპეშით** გვატყობინებენ: „23 იანვარს, ერევნის [illegible] სასამართლომ გაარჩია სამის სომხის, სოფ. აშტარაკის მცხოვრებთა, საქმე. [illegible] ბრალდებოდათ სასჯელთა დებულების მე-263 მუხლში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების ჩადენა. სასამართლოს თავჯდომარეობდა ბაკალო, წევრებად იყვნენ მატუსევიჩი და ლესკოვ[illegible] ბრალსა სდებდა პროკურორის ამხანაგ[illegible] ტკაჩოვი; იცავდნენ: მალიანოვიჩი (მოსკოვიდან) და იოანესიანი (ტფილისიდან). განაჩენით, რომელიც საჯაროდ გამოცხადდა, 263 მუხლით ბრალდება უარყოფილ იქმნა, სამივე ბრალდებული დამნაშავედ იქმნა ცნობილი სასჯელთა დებულების მე-271 მუხლში აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების ჩადენაში და თითოეულს მიესაჯა ექვსი თვით დაპატიმრება უფლებათა შეუზღუდველად“.

✦ ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა სოფლებიდან ჩამოსულნი აბრეშუმის პარკისა და თესლის ვაჭრები, რომელთაც ჰსურთ შეიძინონ უცხოეთიდან შემოტანილი აბრეშუმის თესლი თავიანთ სოფლის **მეაბრეშუმეთათვის**. სამწუხაროდ, უმეტესობა დაეძებს იაფ-ფასიან თესლს, (ექვს ან ხუთ მისხლიან ყუთს 1 მანეთად ანა და 1 მან. 40 კაპ.). იაფ-ფასიანი-კი ხშირად უვარგისია. სარწმუნო ცნობებიდან ვიცით, რომ უცხოეთში წელს სხვა წლებთან შედარებით ცოტა თესლი დაუმზადებიათ, რის გამოც ფასი იქ გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვენში. ამიტომ სასურველია ჩვენმა ვაჭრებმა მხედველობაში იქონიონ მეაბრეშუმეთა ინტერესებიც, საღ თესლი შეიძინონ და ფასი უფრო მეტი გა[illegible] დაახდევინონ.

✦ **კავკასიის მთავარ-მართებელმა** თავ[illegible] გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ 1000 მანეთი შესწირეს კუკიის ალექსანდრე-ნეველის ტაძართან თავშესაფარის გასამართავად.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროს გამგეს გადაუწყვეტ[illegible] გახსნას **განყოფილება ქუთაისში** „კ[illegible] და“-ს სამეურნეო ამხანაგობასთან. განყოფილებაში გაიყიდება შაბიამანი, გოგ[illegible] ზოგიერთი სამეურნეო იარაღები.

✦ გუშინ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულს, ნება მისცეს სამეურნეო საზოგადოების კომისიონერს პ. კრილოვს უბაჟოდ ჩამოიტანოს ტფილისში ბათუმის ტამოჟნიდან 139 **ფუთი შაბიამანი**. ამასთან საბჭომ შეატყობინა, რომ უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ასეთ სამკურნალო მასალების უბაჟო შემოტანისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გან[illegible] ხილა სასწავლებელთა გამგე კომისიის მო[illegible]

გვიკრა, გალერეიიდენ იძახოდა მხოლოდ ერთი-ორი ვაშას.

ბესო. ნუ გეშინია, გავიტანთ. ბევრჯერ გვინახავს ასეთი დღეები, მაგრამ მაგრად ვყოფილვართ. შენ რიხიანად ილაპარაკე მხოლოდ და არა გეშინია. დაენდე შენს ბუნებას, შენს ალღოს და მიყევი, დამერწმუნე, გაგიყვანს ნაპირზე.

ოთარ-ბეგ. ეჰ, ნაღველი მაინც გულს მიღრღნის, მოიტა ერთი ღვინო დამალევინე (ბესო ღვინოს შემოუტანს)... იმის იმედი კი მაქვს, რომ დეკორაციები მშვენიერია და ტანისამოსებიც საუცხოვო გვაცვია.

ბესო. მე შენ გეუბნები—გავიტანთ, გულმაგრად იყავი. ენდე ჩემს გამოცდილებას!.. (ორივენი გადიან. ცოტა ხანს სიჩუმეა. მერე შემოდიან დათო სვიმონიძე და ირაკლი შათირიშვილი. უკანასკნელნი მოდაზე არიან მორთულნი, ჩვენის დროის ახალგაზდა მდიდარ თავადიშვილებსავით. ორივეს ერთნაირად აცვიათ).

ირაკლი. (აქეთ-იქით მიიხედავს, ამოიღებს ჯიბის სარკეს, პატარა ჩოთკს და ულვაშებს და თმას ისწორებს). დათო! ერთი კარგად შემომხედე, ტანზე როგორ მადგია ჩოხა?

დათო. საუცხოვოდ! მე როგორი ვარ?

ირაკლი. ლომი ხარ ნამდვილი, ლომი! ქალიშვილები გადაირევიან. მაგრამ იცოდე, დათო, ჩემს რუქაიას კი ხელი არ ახლო, თვალითაც არ შეხედო, თორემ ჩვენი ძმობა გათავდება!..

დათო. ვინ რუქაია? მე არა მესმის რა, გამაგებინე, რა ამბავია.

ირაკლი. როგორ არ იცი? [illegible] ჩემმა თამაშვილმა ჩემთვის დანიშნა რუქაია, იგი ჩემი ღმერთია, ჩემი ანგელოზი. ოოხ! როგორ მიყვარს! სხირტლაძის ბალში ერთი ქალი ვნახე, აი იმის მსგავსი იქნება სწორედ ჩემი რუქაიაც! . (ჯიბიდან ამოიღებს ვერცხლის პორტ-სიგარს, დათოს მიაწოდებს). Хочешь покурить?

დათო. Давай, давай! დრო მოვკლათ. (შემოდიან ოთარ-ბეგი, ანანია, ბესო).

ანანია. ესენი... არიან... ბატონო... ჩემი... შვილები!.. თქვენის... სამსახურისთვის... მომიყვანია... იმსახურე... როგორც... გნებავდესთ.

დათო და ირაკლი. მამა! ჩვენ ხომ, როგორც პიესის შინაარსი მოითხოვს, სამშობლოს განთავისუფლებას უნდა ვემსახუროთ?

ანანია. კი... შვილებო!.. პიესაში აგრე სწერია... მაგრამ თქვენი ნიჭი, თქვენი ცოდნა და ხასიათი რომ ვიცი, თქვენ... მაგას... ვერ შესძლებთ... განა თქვენთვის... ეგ საქმეა?

დათო და ირაკლი. მართალია, მამავ! ჩვენს ტანისამოსებს და მოყვანილობას უფრო შეჰფერის ოთარ-ბეგის საპატიო დარაჯთა რაზმში ყოფნა, ვიდრე რაღაც თავისუფლებისათვის სცენაზე ყვირილი და ჩხუბი, ასეთის ბრძოლით კარიერას ვერ გავიკეთებთ.

ოთარ-ბეგ. (სრულის გენერლის კილოთი) ბრავო, ბრავო! მომწონს, მომწონს ასეთი სიტყვა!

ბესო (უცბად). დედოფალი მოდის! ურაა! იყვირეთ ყველამ, ვაშა, ვაშა! (შემოდის ზეინაბი თავის მხლებლებით. წინ წამოიჭიმებიან დათო და ირაკლი, რომ ზეინაბის ყურადღება მიიპყრონ).

სცენა მესამე. იგივე ადგილი. ღამეა.

ირაკლი. ჩაიხედე ერთი, რომელი საათია?

დათო (ამოიღებს საათს და დახედავს). თორმეტი შესრულდა.

ირაკლი. ლამის სული ამომძვრეს! სად არის ამდენ ხანს რუქაია?!.. დათო, შენც რანდევუ გაქვს დანიშნული, არა? იცი, არ ივარგებს, რომ ორივემ აქ შევხვდეთ ჩვენს სატრფოებს. შენ იქით გადი და იქ მიეგებე შენს გაიანეს.

დათო. კარგი, კარგი! ოღონდ შენ ფრთხილად იყავი (მიდის. შემოდის რუქაია და გადაეხვევა ირაკლის).

ირაკლი. ოჰ, ჩემო ღმერთოვ! რა მშვენიერი რამ ხარ!

რუქაია. ოჰ, ჩემო აფიცერო, რა ლამაზი ხარ!

ირაკლი. როგორ მიყვარხარ.

რუქაია. როგორ მიყვარხარ! (დიდ ხანს ჰკოცნიან ერთმანეთს. ამის შემდეგ ირაკლი ვითომ-მოჰკლავს ალ-რაზაყს. რუქაია გაიქცევა. ირაკლის შეიპყრობენ).

ოთარ-ბეგ (სცენაზე მარტო ოთარ-ბეგი და ზეინაბია). დედოფალო, შემიბრალე! ჩემს სახლში მკვლელობა მოხდა, მყუდროება დაგირღვიე. დიახ! დამნაშავე ვარ, დედოფალო!..

ზეინაბ. რის დედოფალი! როგორ მოგცლიათ შენც, ოთარ-ბეგ გუნია, და ალ. სუმბათაშვილსაც! რა მედედოფლება, რა ბეზეინაბება!.. (გაახსენდება, რომ სცენაზეა და ძალ-დატანებით). ჰო, მე ზეინაბს ვთამაშობ მართლა, ოთარ-ბეგ, სად არის შენი ქალი? ძლიამზადე წაიყვანილ?

ოთარ-ბეგ. დედოფალო, ნუ წამართმევ იმ ერთს ქალს. ცოდვა ვარ, ღმერთმან დიახ!..

ზეინაბ. ახია შენზე, ცოდვა კი არა! რ[illegible] თვის კისრულობდი ასეთს მძიმე როლს, [illegible] არ შეგეძლო? (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ოხ, საქართველო, ოხ, საქართველო!

ოთარ-ბეგ. განაგრძე, ზეინაბ, განაგრ[illegible] მაგრე სწერია პიესაში. საზოგადოება ძალ[illegible] გულ-ნატკენია, ეხლა მაინც გავახალის[illegible] დიახ, დიახ!

ზეინაბ. საქართველო, საქართველო! ოდ[illegible] ღაც მე ვიყავი დედოფალი, თეიმურაზი [illegible] ჩემი ქმარი. მე ვცხოვრობდი თავისუ[illegible] საქართველოში. ჩვენს გარშემო თავისუ[illegible] ადამიანებს ვხედავდი. ეხლა?.. ეხლა?..

ოთარ-ბეგ. დიახ! დიახ, დედოფალ[illegible] ძლიერო ღმერთო, შენ შეგვიწყალე მო[illegible] ზადებლობისა და გულცივობისათვის!

ზეინაბ. (ეტყობა, რომ ძალიან ეზარ[illegible] ლაპარაკი) ეხლა ღამეა, ღამე და მონ[illegible] მონობა, სხვა არაფერი!.. (დიდი პაუზის [illegible] დეგ) შენ რაღა ხარ, ოთარ-ბეგ? სულ[illegible] ნის ძაღლი ხარ! შენი ქალიც სარისკიძ[illegible] უნდა გაგზავნო!..

ოთარ-ბეგ. დიახ, დედოფალო! (მაგრ[illegible] დაჰკრავს იატაკს ფეხს).

ზეინაბ. ჩემი შვილი?.. ოჰ, მართლა, [illegible] შვილი კი არ მომკვდარა. იგი გადავ[illegible] ნეთ, შევინახეთ თავისუფლებისათვის. [illegible] ლი —ჩემი გიორგია! მისთვის ვითმენდ[illegible] დენს ტანჯვას და შეურაცხყოფას (თა[illegible] თვის: ღმერთო ჩემო, რამდენ სისულ[illegible] ვლაპარაკობ!), რომ ვეღირსებოდე გან[illegible]

ენება **ნ. ი. შიოევის ანდერძის** განხორციელების შესახებ. რადგან მოხსენება სრუ- ი არ იყო, გამგეობამ დაადგინა, დაავალოს მისიას, ხელმეორედ გადასინჯოს ეს სა- თხი. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე, შეე- თხოს სასწავლებელთა კომისიას შესაძ- ებლად სცნობს იგი თუ არა შიოევის მიერ ატოვებულ ფულით აშენებულ იქმნას სა- ეხნიკო ანუ სასოფლო-სამეურნეო სასწავ- ებელი ტფილისსა ანუ სადმე ტფილისის ახრაში.

◆ ამას წინად კრება ჰქონდა კავკასიის **ატეხნიკო საზოგადოებას.** კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა, საერთაშორისო გამოფენაზე ამერიკაში გაჰგზავნონ კავკასიიდან სპეციალისტები, რომელთაც ადგილობრივ უნდა შეისწავლონ და გაიცნონ ტეხნიკა და აგრეთვე დაათვალიერონ სარწყავი არხები, ის ადგილები, სადაც ტყეს აშენებენ და სხვა. კრებამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ აზრის განსახორციელებლად საჭირო ფული გადაიდოს.

◆ გუშინ, 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროს, ლიანდაგის უფროსი, მიმოსვლის უფროსი და სხვა ნაწილის უფროსნი წავიდნენ ალიათ-ღუვანის **ახლად გაყვანილ მეორე ლიანდაგის** დასათვალიერებლად და გასახსნელად. მიმოსვლა დაიწყება 26 იანვარს, 12 საათზე.

◆ 22 იანვარს სასოფლოს-ამეურნეო საზოგადოების კრებამ, პ ნ ქალანთარის წინადადების თანახმად, საჭიროდ სცნო გაჰგზავნოს ამერიკაში **მსოფლიო გამოფენაზე** სხვა-და-სხვა სპეციალისტები სასოფლო-სამეურნეო ამა თუ იმ დარგის წარმოების გასაცნობად.

◆ **ხორცის** დუქნების გამგე კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, იღონოს რამე, რომ **ყასპები სავსებით ასრულებდნენ** ხორცის ვაჭართათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას. ქალაქის მოურავმა უკვე დაავალა ავაჭრო პოლიციის აგენტებს, თვალყური ადევნონ, რომ სავალდებულო დადგენილება აწორით სრულდებოდეს და სთხოვა გუ- ერნატორს, დაავალოს პოლიციას, იმანაც მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადასდოს 1075 მან. ხუთ დიდ ფარნის დასადგმელად. ერთი ფარანი დაიდგმის ბარიათინსკისა და სპერნი ქუჩების შესართავთან, მეორე მადათოვის კუნძულზე ალექსანდრეს ბაღის შესავლის მახლობლად და სამი დიდი ფარანიც ნიკოლოზის ხიდზე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, აუკრძალოს ქალაქის მიწების მოიჯარადრეებს, თავიანთი საიჯარო უფლებანი, ვიდრე ქალაქის გამგეობა ნებას არ დართავს, სხვა არ გადასცენ.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერის შუამდგომლობის პასუხად გუშინ ქალაქის გამგეობამ შეატყობინა, რომ საკითხს რიყის მცხოვრებთათვის წყლის-სადენ არხის გაკეთების შესახებ გამგეობა განიხილავს მაშინ, როცა სააშენებლო განყოფილება შეადგენს პროექტს რიყის ნაპირების გამაგრების შესახებ.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა პოლიცმეისტერს, რომ გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის სავარჯიშოს მოწყობა, მაგრამ ჯერ ვერ გააკეთებს ამას, რადგან რაზმის სადგომის ეზო ძალიან ვიწრო და პატარაა.

—

ამ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების № 187.** შინაარსი: „უპატრონო“ (დასასრული), მ. ადამაშვილისა; სურათები: სურათების გამოფენა ტფილისის სამხედრო მუზეუმის დარბაზში, „გომბორის მთაზე“, სურათი სკლიფასოვსკისა და ოთხი კარიკატურა.

შინ და გარედ

61.

გუშინწინ დეპეშამ გვაცნობა, პეტერბურგის ქალაქის მოურავად ისევ ბ. ლელიანოვი აირჩიესო.

საყურადღებოა ეს არჩევა და, საზოგადოთ, პეტერბურგის ახალი საბჭოს პირველი ნაბიჯი.

როგორც იცით, ეს საბჭო ახალის საქალაქო დებულების თანახმად არის არჩეული და ყველას აინტერესებს, რას წარმოადგენს ახალი საარჩევანო წესი, რას მისცემს თვითმმართველობას ახალი კანონი; აინტერესებს, რადგან, მოსალოდნელია, პეტერბურგის საქალაქო დებულება სხვა ქალაქებსაც მიენიჭებათ.

ახალი საბჭო ორ პარტიად გაიყო: ძველმა ხმოსნებმა—ვაჭრებმა, სახლის პატრონებმა და დიდ მოხელეებმა—შეადგინეს ცალკე პარტია, რომელსაც გაზეთებმა „ცენტრი“ უწოდეს; ახალმა ხმოსნებმა—სადგომის დამქირავებლებმა და ინტელიგენტურ პროფესიების წარმომადგენლებმა დააწყეს მეორე პარტია, რომელიც მემარცხენეთა სახელით მონათლეს. პირველი პარტია—კაპიტალისტების წარმომადგენელია, ამიტომ ზოგი გაზეთი „საკრედიტო პარტიის“ სახელსაც უწოდებს; მას მიემხრენ მსხვილი მოხელეებიც, რომელთა რიცხვი საკმაოა პეტერბურგის ახალ საბჭოში. მეორე პარტია უმთავრესად შესდგება წვრილ მოხელეთაგან და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან; მათ რიცხვში არიან გამოჩენილი ლიტერატორები, ადვოკატები და პროფესორები.

როგორც წინადაც მქონდა აღნიშნული, ახალმა დებულებამ მეტად მაღალი ცენზი დააწესა ბინის დამქირავებელთათვის, რომელთაც საარჩევნო უფლება მიენიჭა. სახელდობრ, საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება მიეცა იმ პირთ, ვინც წელიწადში 1200 მანეთზე მეტს იხდის ბინის ქირად. მაშასადამე, უფრო ღარიბი მცხოვრებნი ისევ გარედ დარჩნენ და საარჩევანო უფლება მიენიჭა უფრო შეძლებულთ. მაგრამ ესენი მაინც ახალ ელემენტს შეადგენენ, არ ეკუთვნიან არც მსხვილ მესაკუთრეებს არც მდიდარ ვაჭრებს, რომელთაც განუყოფლად და სავსებით ეკუთვნოდა დღემდის ქალაქის თვითმართველობა.

საბჭოში ახალ ელემენტის შესვლამ მაშინვე ფეხზე დააყენა მსხვილი ბურჟუაზია. მისი წარმომადგენლები ქალაქის თვითმმართველობაში შეერთდნენ და დაადგინეს სასტიკის დისციპლინის დაცვით შეებრძოლონ „მემარცხენეთ“. მსხვილ კაპიტალისტებს, როგორც ვთქვით, მსხვილი მოხელეობაც მიემხრო და ამნაირად საბჭოში გამაგრდა ისევ ის ელემენტი, რომელმაც მთელს რუსეთში ხელთ იგდო საქალაქო თვითმმართველობის საქმე.

ამ ბატონებმა პირველ ხანებშივე აგრძნობინეს ახალს ელემენტს თავის ძალა: არც-ერთი კანდიდატი ინტელიგენციისა არსად არ ამოირჩიეს. პირველად არჩევანი მოხდა საბჭოს თავმჯდომარისა. ამ თანამდებობაზე „მემარცხენეთ“ დაასახელეს მთელს რუსეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწე მ. მ. სტასიულევიჩი; „ცენტრმა“ იგი გააშავა და საბჭოს თავმჯდომარედ პ. ი. დურნოვო აირჩია. შემდეგ მოხდა არჩევნები თავმჯდომარის მოადგილისა; „მემარცხენეთ“ წამოაყენეს ცნობილის პროფესორის კუზმინ-კარავაევის კანდიდატურა; „ცენტრმა“ ისიც გააშავა და მის მაგიერ აირჩია სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი კაბატი. შემდეგ ჯერი მიდგა საგუბერნიო საკრებულოში საბჭოს წარმომადგენლის არჩევაზე; „მემარცხენეთ“ დაასახელეს მთელს რუსეთში ცნობილი იურისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე [illegible] არსენიევი; „ცენტრმა“ იგი გააშავა და აირჩია თავისი კანდიდატი გრაფი ბობრინსკი.

ბოლოს დადგა დრო ქალაქის მოურავის არჩევისა. ამ საგანზე პეტერბურგის პრესაში ბევრად უფრო წინად შეიქმნა ლაპარაკი. ყველასათვის ცხადი იყო, რომ წინანდელ მოურავის, ბ. ლელიანოვის, დატოვება შეუძლებელი იყო. ეს „შემთხვევითი“ ქალაქის მოურავი სრულებით უფერული გამოდგა; ვერც ვერაფერს აკეთებდა, ვერც თვითმმართველობის ღირსების დაცვა მოახერხა; მცირედ განათლებული და უენერგიო მოურავი მხოლოდ მტკიცე აღმასრულებელი იყო თავის წრის (მსხვილ ვაჭარ-კაპიტალისტების) სურვილისა. ამიტომ, პეტერბურგის საზოგადოებრივი აზრი, პრესსაც (უმეტეს შემთხვევაში) და საბჭოს ახალი ელემენტებიც წინააღმდეგნი იყვნენ ბ. ლელიანოვის ხელახლად არჩევისა; ასე რომ, როგორც ხმა იყო, თითონაც არ ჰსურდა კენჭი ეყარა, მით უმეტეს, რომ ქალაქის მოურავობაზე წამოყენებულ იქმნა სერიოზული და სიმპატიური კანდიდატი—პროფ. ნაბოკოვი. ეს შვილია მინისტრად ნამყოფის ნაბოკოვისა, გამოჩენილი პროფესორი, ცნობილი პუბლიცისტი და მეტად ენერგიული საზოგადო მოღვაწე. პეტერბურგში ნაბოკოვი მეტად პოპულიარული მოღვაწეა და მთელს პროგრესიულს საზოგადოებას დიდათ ესიამოვნა ასეთ კანდიდატის დასახელება; მაგრამ „ცენტრს“ არ ეპაშნიკა მაინცა და მაინც და მან მოიწადინა ისევ ლელიანოვის გამოურავება. როგორც დეპეშამ გვაცნობა, ეს კიდეც მოუხერხებია...

ამრიგად, ახალ დებულებამ ჯერ ვერაფერი სარგებლობა ვერ მოუტანა პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობას: ამის სვე-ბედი ისევ პლუტოკრატიის ხელში რჩება მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უფლებანი გაფართოვებულ იქმნა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, საარჩევნო უფლების მცირედი გაფართოვებაა: რომ ისეთი მაღალი ცენზი არ დაეწესებინათ, სულ სხვა სურათი იქნებოდა. კანონმდებელი შუა გზაზე გაჩერდა: მან მოისურვა ქალაქის თვითმმართველობის ბედის ჩაბარება მცხოვრებთა უმრავლესობისათვის, მაგრამ შედრკა და „ნახევარზომა“ არჩია. პრაქტიკა მალე კიდევ უფრო ცხად-ჰყოფს, რომ შუა გზაზე გაჩერება ასეთს საქმეში კეთილ ნაყოფს ვერ მოიტანს და ცხოვრება კიდევ უფრო ენერგიულად მოითხოვს საზოგადოებრივ ძალთა როლის გაძლიერებას როგორც ადგილობრივ თვითმმართველობის საქმეში, ისე ცხოვრების სხვა სფერებშიაც.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ სოფელ რადომლის (ორლოვ. გუბ.) მცხოვრებთ საყურადღებო დადგენილება მოუხდენიათ: თავიანთ სოფლის ღარიბნი და მათხოვრები სოფლის ხარჯით ჰკვებონ. თუ მთხოვარას, ღარიბს მუშაობა შეუძლიან, სოფელმა სამუშაო უნდა მისცეს და თუ სამუშაო არ იქნება—უფასოდ უნდა ასვან-აჭამონ, მაგრამ რაც დასჭირდება, იმის გარდა ზედმეტი არ მისცენ, რათა მან არაფერი გაჰყიდოს და მაგარი სასმელები სრულიად არ დალიოს. სოფელმა უნდა შეინახოს ყველა უპატრონო ბებერ-მოხუცებული და ავადმყოფი. სასტიკად აუკრძალეს თავიანთ სოფლელებს სხვა სოფლებში მათხოვრობა.

◆ სახალხო განათლების დეპარტამენტმა განმარტა, რომ ებრაელთ ნება არა აქვთ

სუფლება, შვილის დაგვირგვინება და სხვა და სხვა და სხვა!

ოთარ-ბეგ. ო, ჩემო მეუფევ! მერე?

ზეინაბ (გულმოსული). რა მერე? გვეყოფა ამდენი სისულელე! გამიჭირა საქმე ამდენმა თავისუფლებამ! რის თავისუფლება, რა თავისუფლებისათვის ბრძოლა, შეურაცხყოფა! რა საქართველო, რის მონობა! ამხელა კაცი გაზდილხარ და ნუთუ გჯერა ეს ყველაფერი ბ. ოთარ-ბეგ გუნია?...

ოთარ-ბეგ. ზეინაბ დედოფალო, თამარო! პიესა, პიესა!... დიახ! ოოხ, ღმერთო მოწყალეო! (მაგრად ჩაირტყამს გულში ხელს).

სცენა მეოთხე. ძველი ნანგრევები ტფილისის ახლო.

ბესო (ცალკე ზის ქართველ ტყვეებთან. ღვინოს სვამს. რუსის აქტიორს შევჩენკოს ბაძავს და რუსულის აქცენტით მღერის) „ხელ-ახლა გვინო ცკრიალებს, არიალლალე! გამეს ლხენიტ აციაგებს, ტარიალალე!“ მეტი არ ვიცი, ბოდიშს მოვიხდიდი, რომ ქართველი საზოგადოება არ იყოთ, მაგრამ თქვენ მიჩვეული ხართ, მოინელებთ!..

ირაკლი. (შებორკილი, ანანიას ფეხზე თავს დაუდებს). მამა! მამა!.. რაღა გვეშველება? მე ჩინებს მოველოდი, განზრახ ამისთვის შევიკერე ეს სირმებიანი ჩოხა-ახალოხი, მეგონა, ხვალ ჯვარს დავიწერდი ჩემს რუქაიაზე, და ამის მაგიერ... ვაი, ჩემი ცოდვა! (ტირის ხმა მაღლა).

ბესო. ბოშო! რა გატირებს, აი, დალიე ღვინო და მორჩები! (შემოდიან ზეინაბი და ოთარ-ბეგი) ეი, ყველამ გადით აქედან! დედოფალს უნდა, მარტო მოელაპარაკოს თავის შვილს.

ოთარ-ბეგ. ბესო, ეგ სიტყვები ჩემი სათქმელი იყო.

ბესო. რა უყოთ, სულ ერთია. აბა, ჰაიდა! (ყველანი გადიან გარდა ირაკლისა, ზეინაბისა და ოთარ-ბეგისა).

ზეინაბ (ცივად). ირაკლი, მოდი აქ! შენ ჩემი შვილი ხარ, იცი?

ირაკლი. ბიჭოს! ეს ძალიან კაი ახალი ამბავია! შენ დედოფალი ხარ, მე მეფის შვილი?..

ზეინაბ. შენ მეფე იქნები!

ირაკლი (შეხტება). რა მიხარია, რა მიხარია! დედი, დედი-ჯან! რაც დედა-მიწაზე ჩინია, სულ ყველას მე ჩამოვიკიდებ. ხომ შეიძლება?.. ო, ჩემო ანგელოზო რუქაია, როგორ დაგიკოცნი ტუჩებს!

ზეინაბ. მეფე ხარ და მეფურ საქმეს გაავლებს სუმბათაშვილი: „შენ უნდა ააფეთქო მეტეხი და გზა გაუნათო საქართველოს განთავისუფლებისაკენ!

ირაკლი. რა, დედი? მე არ მესმის, რომელ საქართველოზე ლაპარაკობ, რა განთავისუფლებაზე?

ზეინაბ. მეც არ მესმის, მაგრამ რა ვქნათ, რომ ასე უნდა ვილაპარაკოთ. არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი. მშვიდობით! (მიდიან ყველანი, რჩება მარტო ირაკლი.

რუქაია (შემოვარდება) ჩემი ირაკლი)!

ირაკლი. ჩემი რუქაია! (გადაეხვევიან ერთმანეთს). ჩვენთვის კოცნა გაუჩენია ღმერთს, რა ჩვენი საქმეა, რაღაც საქართველოს განთავისუფლება! არა, დუშკა? (მხურვალედ ჰკოცნის რუქაიას).

სცენა მეხუთე. სულეიმანის სასახლე

სულეიმან-ხან. ყარა-უსუფ! მე ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს. რაკი სიკვდილი გაქვს გადაწყვეტილი, ბარემ ეხლავე გადავარდი მტკვარში. ვინ იცის, მერე რა მოხდება; ეგებ ვერც-კი მოასწრო სიკვდილი (ყარა-უსუფი მოაჯირზე გადახტება).

ზეინაბ (შემოდის და თან ოთარ-ბეგიც მოჰყვება. ძლიერ დამშვიდებულნი არიან იმის გამო, რომ პიესა მალე გათავდება და დავისვენებთო). ჩემო სულეიმან, ჩემო საყვარელო სულეიმან! მოიწყინე უჩემოთ?

სულეიმან-ხან. ღალატი!

ოთარ-ბეგ. ღალატი როგორ არ იქნება! ყველანი ასე მოუმზადებელნი ვართ. დიახ! სულეიმან ბატონო, უბრძანეთ, რომ... დიახ!.

ზეინაბ. ჩემო სულიკო, სულეიმან! ეხლავე აქ მოვა ახალგაზდა, ახლად მოწყვეტილი ვარდი გაიანე, ის გაგიწევს ჩემ მაგიერობას, ის შეგაქცევს, ის მოგალხენს...

აფეთქება (სცენის გარედ). ეი, თქვენ, აქტიორები ხართ, თუ ვილაცები! გვეყოფათ ამდენი მასხარობა! ეხლა მეც მინდა თავი გამოვიჩინო, უნდა ავფეთქდე!

აქტიორები (სცენის გარედ). როგორ შეიძლება, ჯერ მოიცადე. დრო არ მოსულა.

აფეთქება (სცენის გარედ). მოვიცადო, თორემ თქვენ რომ კარგად თამაშობთ!... არ შემიძლია, არა! უნდა ავფეთქდე! (აქტიორები ეხვეწებიან, დაგვაცალეო) არა მეთქი! ვინ არის თქვენი უფროსი?...

ბესო (სცენის გარედ). ჯანდაბას შენი თავი და ტანი. აფეთქდი, აფეთქდი! გასკდი!.. (ისმის საშინელი აფეთქების ხმა. მთელი სცენა აფეთქდება, ყველაფერი ჩაიქცევა და თან ჩაიყოლებს ქართველ აქტიორებს).

ეპილოგი. თეატრის გამოსასვლელ კარებში

პირველი მაყურებელი (ნამეტანი დაღვრემილია). მჰ! რა ჰქნეს ეს ამ კაცებმა?... ა?

მეორე მაყურებელი (ყვირის). გამიშვით! გამიშვით! უნდა ვცემო, უნდა ვცემო!

მესამე მაყურებელი (ტირის). ვაი „ჩვენი ცოდვა! ვაი, ვაი, ვაი!

მეოთხე მაყურებელი (იფურთხება). წარხდა ყოველი! ვაი, სირცხვილო!

მეხუთე მაყურებელი (იცინის). Вотъ вамъ и грузинскій театръ! говорилъ же я, что они абсолютно неспособный народъ!..

ერთი სომეხი. შერცხვენ დღეს ქართველები, არ მოველოდი, სწორედ, არ მოველოდი. (გაისმის რამდენიმე ხმა: „სულ კოტეს ბრალია“. „კოტეს კი არა! ყველანი უნდა ჩამოახჩო კაცმა“!—„ცირკში! ცირკშია მათი ადგილი“!—„ვაი, ვაი, ვაი“!—„ეფემია? გრძნობის ნასახი რამ მოუკლა ამ ქალს“!)

ა. სუმბათაშვილი (შემოვარდება გაგიჟებულივით, თმა-გაწეწილი). ღალატი! ღალატი! სად არის ჩემი „ღალატი“? ჩემო სამშობლო, დამიბრუნე ჩემი „ღალატი“! დამიბრუნე, დამიბრუნე!.. მოღალატენო, მოღალატენო! მოღალატენო! (შევარდება თეატრში. ცოტა ხნის შემდეგ გაისმის რევოლვერის სროლა. თეატრიდან გამოდიან ახალი მაყურებლები. საზოგადოებაში გაისმის ხმები: „სუმბათაშვილმა კ. მესხის მოჰკლაო“!—„არა, ვერ მოჰკლა. ყველანი დაჰრაო“!—„ეხლაც დიდი ჩხუბი აქვთ“!)

სიტყვა

ქალების პროგიმნაზიებისა და გიმნაზიების მზრუნველ საბჭოს წევრებად იყვნენ.

◆ სინოდის ობერ-პროკურორის სახელობაზე საროვის მონასტრიდან შემდეგი დეპეშა მისულა: „საროვის უდაბნო წმინდა სერაფიმეს ხსოვნას დღესასწაულობს და მოწიწებით იხსენიებს უკეთილ-პატიოსნესის ხელმწიფის დიდებულ შრომას, რომელიც მათ ღვთის მსახურის სადიდებლად დასდეს, და მათგან უდაბნოსთვის მრავალ შეწირულებას. საროვის მონასტრის ბერები მხურვალედ სთხოვენ ღმერთს და იმის მსახურს ყოვლად ღირსს სერაფიმეს, რათა მდგომარე წელს დაიცვან ძვირფასი სიცოცხლე მათის უდიდებულესობისა, უკეთილპატიოსნესთა დედოფლებისა და უავგუსტოეს სახლობისა სადიდებლად და სასიხარულოდ წმინდა რუსეთისა. მოწიწებით გთხოვთ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, მათი იმპერატორებით უდიდებულესობის ფერხთა წინაშე დაამხოთ ჩვენი მშვიდი უქვეშევრდომილესი ერთგულება და უსაზღვრო მადლობა საროვის უდაბნოს ნახვისთვის“. ამ დეპეშის პირი პობედონოსცევმა ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკუთარის ხელით დასწერა: „სიხარულით ვიგონებთ საროვის უდაბნოში ჩვენს ყოფნას და გმადლობთ ლოცვებისთვის“.

პრესსა

„ხანუმის“ წარმოდგენის გამო ბ. ლ. ყ—ნი „ნოვ. ობოზრ.“-ში იხსენებს განსვენებულ ა. ცაგარელს და სწერს, მისი საფლავი

> მივიწყებული და მიგდებულიაო. დრო-კი მიდის, ზრუნვა საყვარელ მიცვალებულზე თან-და-თინ გვავიწყდება და, შეიძლება, დღიურ ვარამზე ფიქრმა სრულიადაც გადაგვავიწყოს... საჭიროა, იმდენად მაინც მოეწყოს ა. ცაგარლის საფლავი, რომ არ დაგვეკარგოს, რომ დრომ და კუკიის სასაფლაოს სხვა მიცვალებულებმა სრულიად არ გადაგვიმალონ ძვირფას მწერლის უკანასკნელი ბინა. ეს ერთი. მეორე—უნდა შეიკრიბოს და გამოიცეს იმის ნაწერები. ეს—საჭირო ხარჯია, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ განსვენებულს უნდა უძღვნას.

ქართული დრამატიული საზოგადოება ვალდებულია ერთიცა და მეორეც ითავოს.

თეატრი

დღეს, 25 იანვარს, ქართულ თეატრში ბენეფისია არტისტ-ქალის ელ. ჩერქეზიშვილისა. წარმოადგენენ ამ საღამოს პირველად თავ. აკაკი წერეთლის ახალ ორიგინალურ პიესას „განთიად“-ს და ვოდევილს „ადვოკატთან“. მონაწილეობას მთელი დასი იღებს.

—

ბათუმი. გუშინ, 22 იანვარს, ქართულმა დასმა წარმოადგინა აქაურ „რკინის გზის თეატრში“ „ღალატი“. თუმცა ტფილისის გაზეთები ჯერ არ მიგველო, სადაც მოთხრობილია „ღალატის“ წარმოდგენა სახაზინო თეატრში, მაგრამ ამბავი უკვე გაგებული გვქონდა და, ცოტა არ იყოს, შიშმა შეგვიპყრო, ვაი თუ აქაც იგივე განმეორდესო. საბედნიეროდ შიში უსაფუძვლო გამოდგა. არტისტებმა მწყობრად ჩაატარეს მთელი პიესა, და მიუხედავად აქაურის სცენის მოუწყობლობისა, რომელიც მეტად ხელს უშლიდა გარეგან მხარეს, საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაბრუნდა. მეტად კარგი იყო კ. ყიფიანი ანანიას როლში. ბესოს იმერული კილო ეტყობოდა ზოგჯერ. ზეინაბის როლს ეფ. მესხი ასრულებდა და კარგადაც აასრულა. მესხიშვილი ნამდვილი სულეიმან-ხანი იყო, დინჯი და აუჩქარებელი, ეშვიანი, გონიერი, და გულ-ქვა, ძლევამოსილი მტარვალი...გუნია ზოგ ადგილს შეუდარებელი ოთარ-ბეგი იყო. წარმოდგენამ მთელის ანსამბლით იმდენად კარგად ჩაიარა, რომ მისი დამსწრე და მნახველი მეორე დღეს გაზეთებში გაოცებით ვკითხულობდით, რა ნაირად მოხდა, რომ ტფილისის სცენაზე ასე არიეს და წაახდინეს ეს დრამა და აქ-კი, ასე პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობაო.

—

როგორც „კაზბეკ“-ი გადმოგვცემს, დღეს, 25 იანვრისთვის, კავკავში წარმოსადგენად დანიშნულია ცაგარლის დრამა „გულ-ჯავარ“ და ვოდევილი „ადამ და ევა.“ ქართული წარმოდგენები კავკავში იმართება ადგილობრივ ქართულ სკოლასთან აგებულ დარბაზში.

როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, ჰფიქრობენ ამ ცოტა ხანში თავ. სუმბათაშვილის „ღალატიც“ წარმოადგინონ ქართულად.

—

ეხლახან მოსკოვში ბენეფისი იყო საიმპერატორო თეატრის არტისტის შალიაპინისა. ნიჭიერმა მომღერალმა თავის საბენეფისოდ რუბინშტეინის ოპერა „დემონი“ დადგა. შალიაპინი ბასია, მაგრამ დემონში ბარიტონის პარტია საუცხოვოდ შეასრულა. ამ წარმოდგენიდან შემოვიდა 15,000 მანეთი.

წერილი თელავიდან

ღარიბი მოსწავლენი

თელავის საქალაქო სასწავლებელთან არსებობს კომიტეტი, რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ შემწეობა აღმოუჩინოს სწავლის ფულის გადახდით ღარიბებს მოსწავლეთ. კომიტეტის შემოსავალს შეადგენს წევრთა გადასახადი და იმას სასარგებლოდ გამართულ საღამოების შემოსავალი. დიდად სასარგებლო იქმნებოდა, ასეთი კომიტეტი წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელთანაც დაარსდეს, მით უმეტეს სწავლის ფულის, 40 მან., გარდახდა ბევრს არ შეუძლიან და იძულებულნი არიან სასწავლებლის გარეშე დარჩნენ. თუმცა აქაც ხან-და-ხან, მაგ., როგორც წელს, გაიმართება ხოლმე ბალი, რომლის შემოსავლითაც, როგორც აფიშებში აცხადებენ, ანთავისუფლებენ სწავლის ფულიდან ღარიბებს მოსწავლეთ, მაგრამ კიდევ ბევრი ქალი რჩება ისე. 21 დეკემბერს გაკვეთილების დროს ამ სასწავლებლიდან დააბრუნებინათ შინ ის მოსწავლენი, რომელთაც სამოსწავლო წლის მეორე-ნახევრის სწავლის ფული არ შეეტანათ. რასაკვირველია, მომეტებულნი შეუძლებელ ოჯახებს ეკუთვნიან. ასეთივე უნუგეშობაა სასულიერო სასწავლებელშიაც: ზოგს პალტო არა აქვს, ზოგს ფეხსაცმელი და სხვ. ამბობენ და გამიგონია, რომ თელავში ქველ-მოქმედნი მოიპოვებიან, რომელთა შემწეობა-მეთაურობით იმართება წარმოდგენა-საღამოები და დახმარება ეძლევათ სხვა-და-სხვა პირთ სწავლა-განათლების მისაღებად. მომეტებულ ნაწილად ამათი ყურადღება მიქცეულია უმაღლეს სასწავლებლისაკენ, იმათკენ, ვინც უფრო შეძლებულია და ვისაც სხვა მხრიდანაც ეძლევა დახმარება. გავიხსენოთ ბ-ნ განის („ცნ. ფ.“ №-2381) წერილში აღნიშნული მოსწავლე სოფ. გ—შვილი. ამ მოსწავლემ, თუ არა ვცდები, წელს აქაური წმ. ნინოს სასწავლებელი გაათავა პირველმა, ამის ჯილდოდ მიიღო, მაგრამ წოდებამ ნება არ მისცა სახელმწიფო ხარჯით გაეგზავნათ ტფილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში სწავლის გასაგრძობად. მამას გიმნაზიაში მაუღებინებია, მაგრამ ავადმყოფობას ხელი შეუშლია იმისთვის, ფული ვეღარ გაუგზავნია და მოსწავლე სკოლას ეთხოვებოდა, თუ გულ-შემატკივარნი არ აღმოსჩენოდნენ. განა არავინ იცოდა აქ ს. გ—შვილის ასეთი მდგომარეობა და დღეს არავინ იცის?! მაგრამ, როგორც ვთქვით, შემძლებელნი ნაკლებად ეხმარებიან იმათ, ვინც მართლა ღარიბია.

დეკადენტი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 იანვარი

პორტ-არტური. რუსეთის სამხედრო გემები 21 იანვარს ზღვაში გავიდნენ, 21 იანვარს ისევ უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ნავთ-სადგურში არ შემოვიდნენ.

კურსკი. მთელი გუბერნია სწუხს გრაფ მილიუტინის უდროვოდ გარდაცვალებას. მილიუტინმა გუბერნიის ათის წლის მართვით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ხაბაროვსკი. თუმცა აქ ასაღელვებელი ცნობები მოდის, მკვიდრი რუსები მაინც სრულიად დამშვიდებულნი არიან. საშობაო და საახალწლო დღესასწაულები ჯარების უფროსის სახლში ბრწყინვალე ბალით გათავდა. ხაბაროვსკში მცხოვრებმა იაპონელებმა ლინევიჩთან დეპუტაცია გამოგზავნეს და სთხოვეს, თუ ომი მოხდა, დაგვიცავითო. ლინევიჩი რუსეთის მთავრობისაგან დაცვას დაჰპირდა. ასაღელვებელ დეპეშების გამო 23 იანვარს ასამდე იაპონელი ვლადივოსტოკში წავიდა. იქიდან ზღვით იაპონიაში უნდა წავიდნენ.

ირკუტსკი. დეპეშით განკარგულება მოვიდა, ციმბირის გზით ჩქარა 45 ვერსისთვის საჭირო რელსები თავის გადასაბმელი მასალით ზაბაიკალის რკინის გზაზე გადაიტანეთო. ამ რელსებით ბაიკალის ტბაზე ყინულზე გზა უნდა გაიყვანონ. ამ მასალის გადატანა გზათა მინისტრის, თავად ხილკოვის მოსვლამდე უნდა გაათავონ. მინისტრს ირკუტსკში 28 იანვარს ელიან.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). კრებამ პრინციპიალურად მიიღო წინადადება, იმიერ ბალკანეთის რკინის გზის გასაკეთებლად საჭირო ფულის წყარო მოძებნონ. გზა ტირნოვოდან ტრავნა-ესკიზაგრამდე იქნება.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“) დეპუტატთა პალატა. სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ პერსიმ დეპუტატთა კითხვაზე განაცხადა, ტიბეტის ექსპედიციის გაგზავნამდე ინგლისისა და რუსეთის მთავრობებმა ერთმანეთს ექსპედიციის შესახებ ცნობები გაუგზავნესო. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ბროდრიკმა განაცხადა, ექსპედიციის მიზანი ტიბეტის ნაწილის შემოერთება არ არისო. მიზანია—დაუშალოთ იმ დაბრკოლებათა განმეორებასა, რომელსაც ტიბეტის მთავრობის 1890 წლის კონვენციასთან დამოკიდებულება იწვევსო.

მარსელი. მე-5 ინჟენერთა პოლკის როტამ, რომელმაც არა ერთხელ განაცხადა ცუდი და მწარე საჭმელი გვეძლევაო, გუშინ მორჩილებაზე უარი განაცხადა. 15 ჯარის-კაცი დაპატიმრებულია.

ნოვგოროდი. მიწათ-მოქმედების მინისტრის განმარტების თანახმად საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, თუ სტარორუსის მაზრაში სარძეო ინსტიტუტი დაარსდა, ერთჯერაც 15.000 მან მივცეთო.

24 იანვარი

ბერლინი. საღამოს გაზეთები შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე ლაპარაკობენ და საქმის მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნიათ; ერთი გაზეთი ფიქრობს, ომის დაწყების იმედმა უმაღლეს წერტილამდის მიაღწიაო. ინგლისიდან მოსული ამბები აქაურ საზოგადოებას აღელვებენ. „ბერლინერ ნახრიხტენ“-ი ჰფიქრობს, მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ უიმედო არ არისო. „ნორდდაიჩ ალგემაინ ცაიტუნგ“ 22 იანვარს მკითხველებს ინგლისურ პესიმისმისაგან აფრთხილებდა, 23 იანვარს კი ჩუმად არის.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“-მ ცნობა მიიღო, 12 დეკემბერს ტუნფუსიანი გადაიცვალა და მისი ჯარი დაიქსაქსაო. რადგან ხმა გავრცელდა, მანჯურიაში რუსეთის ჯარმა იმატაო, ჩინელებმა იაპონიასთან კავშირი [illegible] და ეხლა სრულს ნეიტრალიტეტს ქადაგებენ. ჩინელებში იაპონელთადმი სიყვარული ევროპელთადმი სიძულვილმა და მათი თავდასხმის შიშმა გამოიწვია. რუსეთის სიმტკიცემ ჩინელებ შორის იაპონელებისადმი იჭვი დაბადა, ვაი თუ ვერ გაიმარჯვონო. გემ „კაზან“-ით 1800 ახლად გაწვეული ჯარის კაცი მოვიდა.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.“). სახელმწიფო დეპარტამენტში ცნობა მიიღეს, იაპონიის მთავრობამ მდინარე იალუს კორეის მხარეზე მცხოვრებ იაპონელებს შეატყობინა, სეულში გადასახლდითო.

ნიუ-იორკი. („რეიტ. სააგ.“) დეპეშათა საზოგადოებებმა საყოველთაოდ გამოაცხადეს, იაპონიაში და კორეიაში გაგზავნილ დეპეშების დანიშნულებისამებრ მისვლაზე პასუხს არ ვაგებთო.

ვლადივოსტოკი. აქაური მართველობა იაპონელებს თუმცა დაცვას დაჰპირდა, მაგრამ იაპონელები მაინც მიდიან. ამას იმით ხსნიან, ვითომ იაპონიის მთავრობას ამის შესახებ საიდუმლო განკარგულება მოუხდინოს. იაპონიის სავაჭრო აგენტი იაპონელთ ურჩევს გადასახლებას, რომელმაც გაქცევის ხასიათი მიიღო. იაპონიის მაღაზიებმა ერთ დღე-ღამეში ასი ათას მან. საქონელი გაყიდეს. მანეთის საღირალს ორ და ზოგჯერ ერთ შაურადაც ჰყიდდნენ. ქალაქი უდალაქებოდ, უმრეცხავებოდ და უმოსამსახუროდ დარჩა; ზოგიერთი სახელოსნო დაიკეტა. ორი გემით უკვე 1500-მდე იაპონელი წავიდა; დარჩენილთათვის კიდევ ორ გემს ელიან. ქალაქი აშფოთებულია, უფრო კი იმიტომ, რომ ოფიციალური ცნობებიც კი არ მოდის.

პეტერბურგი. პოლკოვნიკ სამგინს გენერალ-მაიორობა ებოძა და ფინლიანდიის ლეიბ-გვარდიის პოლკის უფროსად დაინიშნა. ფინლიანდიის ლეიბ-გვარდიის უფროსი გენერალ-მაიორი რუ
ნოვსკი გვარდიის პირველი ქვეით ჯარის დი
ზიის მეორე ბრიგადის უფროსად დაინიშნა.

პეტერბურგი. თხოვნის თანახმად, ავადმყო-
ფობისა გამო დათხოვნილია თანამდებობიდან ს
ხალხთა განათლების მინისტრი, ტაინი სოვეტ
კი ზენგერი, რომელიც სენატორად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

21 იანვარს, საღამოს ბაქოში მიმავალ მ
ტარებელში, ტფილისიდან ბალაჯარამდის
დაიკარგა
ტომარაში შეხვეული ღირებულის ფასის წიგ
ნები. მპოვნელთ ვსთხოვთ ეს ნაპოვნ
ტფილისის აისორის ეკლესიის სახელობაზ
გამოგზავნონ, რისთვისაც მიიღებენ ყველ
ხარჯს, ჯეროვან სასყიდელსა და გულითად
მადლობასა. (1—38—1)

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა
მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლი
ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილ
როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშის
იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გა
რიდები.
აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-
და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/
წლის სეზონისათვის.
ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზის
მიხრან ალ. ანანოვი (10—6—3)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში
დაიწყო გასყიდვა:
1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნას,
ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს დ
რქა-წითელის ჯიშებისა;
2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupestri
mont და Riparia gl-სა.
ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებ
თვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор.
Управляющему имѣніемъ А. М. Татев
сянъ. (12—10

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობი
პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფა
რველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 ს
წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგი
დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშო
ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრო
სკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გად
დებ სენით და სულით ავადმყოფებს სამ
კურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვი
და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა და იყიდება
საბერძნეთის ძველი ისტორია
პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნ
თარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათი
და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობი
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტ
გრაფიულ სურათებიდან და ხელით ნა
ტებიდან.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკ

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლ
და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. მსურველთ წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება 1904 წლის კალენდრები. ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—2). წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე

Дозв. ценз. Тифлисъ 24 января 1904 г.
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა
[illegible]